<u>მემკვიდრეობა</u>

1905 წელი: დისკუსია ნაციონალიზმის ძირითადი პრინციპის შესახებ

1905 წლის მარტში გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნდა გრიგოლ რცხილაძის (ფსევდონიმით გ. რ.) ორი სტატია „ნაციონალიზმი, როგორც პრინციპი სიყვარულისა“ (25.03. 1905 N 2781) და „ეროვნება და სიყვარული“ (27.03.1905 N 2782). გრიგოლ რცხილაძე აკრიტიკებდა ნაციონალიზმის იმ კონცეფციებს, რომელთაც ნაციონალიზმის ძირითად პრინციპად თავისიანის, სამშობლოს სიყვარული მიაჩნდათ. მის წერილებს მაშინვე გამოეხმაურა „ცნობის ფურცლის“ მეორე პუბლიცისტი სამსონ ფირცხალავა (ფსევდონიმით „კალამი“) სტატიით „ნაციონალიზმი როგორც სიყვარული“ (29.03.1905 N 2783). სამსონ ფირცხალავამ, ავტორის დაუსახელებლად, გააკრიტიკა რცხილაძე და აღნიშნა, რომ ნაციონალიზმის ძირითადი პრინციპი სწორედაც თავისიანის სიყვარულია. ამით გაზეთის ფურცლებზე ამ საკითხის განხილვა შეწყდა, მიუხედავად იმისა, რომ თავის მეორე სტატიის ბოლოს გრიგოლ რცხილაძე აღნიშნავდა, რომ თავის თვალსაზრისს ნაციონალიზმის შესახებ მომდევნო სტატიებში ჩამოაყალიბებდა. „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ ამ სტატიებს გამოეხმაურა ფილიპე მახარაძე, რომელმაც ჟურნალ „მოგზაურში“ გამოაქვეყნა სტატია „კიდევ ნაციონალიზმის შესახებ“ (3.04.1905, N 12) და „მესამე დასის“ პოზიციიდან კიდევ ერთხელ გააკრიტიკა „ნაციონალისტები“.

ეს დისკუსია ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხნით მივიწყებული იყო. 2003 წელს მას შეეხო გიორგი გორგიშელი სტატიაში „გაზეთ „ცნობის ფურცლის“ პუბლიცისტთა ეროვნული პროგრამა“ (ალმანახი „ალაზანი“ N 7-8, თელავი).

გრიგოლ რცხილაძის (1876-1934) თვალსაზრისის გასაგებად პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ მისი იდეოლოგიური მრწამსი. ამ დროისათვის ის იყო ეროვნულ პოზიციაზე მდგომი სოციალისტი, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. გასათვალისწინებელია ასევე აღნიშნული სტატიების დაწერის განმაპირობებე-

ლი ისტორიული კონტექსტი - წლების მანძილზე მიმდინარე დისკუსია „მესამე დასელებთან“, რომლებიც ეროვნულ საკითხს ნიჰილისტურად უყურებდნენ და მასზე პოზიტიურად საუბარს „ნაციონალიზმის“ და „შოვინიზმის“ გამოვლინებად მიიჩნევდნენ.

სტატიაში „ნაციონალიზმი როგორც პრინციპი სიყვარულისა“ გრიგოლ რცხილაძე შეეცადა გამიჯვნოდა ნაციონალიზმის გავრცელებულ გაგებას და მასში ახალი შინაარსი ჩაედო. გრიგოლ რცხილაძე აღნიშნავდა, რომ ნაციონალისტების უმრავლესობის აზრით ნაციონალიზმის საფუძველი თავისიანების სიყვარულია. რცხილაძეს ასეთი გაგაზრება მიუღებლად მიაჩნდა და ორ მიზეზს ასახელებდა:

ჯერ ერთი, სამშობლოს სიყვარულის საგანი წარსულსა და აწმყოზეა ორიენტირებული და ამ პრინციპზე მხოლოდ „რეტროგრადიული და კონსერვატიული“ იდეოლოგია შეიძლება ჩამოყალიბდეს. „აშკარაა, ნაციონალისტის პროგრამა რეალურად კონსერვატიული უნდა იყოს“, - აღნიშნავდა რცხილაძე. მისთვის როგორც სოციალისტისათვის კონსერვატორობა ნეგატიური შინაარსის მატარებელი იყო.

მეორე, მისი თქმით, ნაციონალიზმის როგორც თავისიანის სიყვარულის გააზრება უკავშირდებოდა შოვინიზმს, - არა თავისიანთა, ე. ი. სხვა ეროვნებათა სიძულვილს. რცხილაძეს თქმით, ნაციონალისტს სხვა ეროვნების წარმომადგენლები რომ უყვარდეს, „ის ნაციონალისტი კი არა, ინტერნაციონალისტი იქნებოდა“. შოვინიზმთან კავშირის დამალვას ნაციონალისტები „ჩვეულებრივ დიდის გულმოდგინებით სცდილობენ“.

გრიგოლ რცხილაძე ემიჯნებოდა ამგვარ ნაციონალიზმს. მისი თქმით, „ეს სრულიად იმას არა ნიშნავს, რომ ჩვენ ქართველ ერის ინტერესი არაფრად მიგვაჩნდეს და ეროვნულ მიმართულებას უარსა ვყოფდეთ“. რადგანაც ასეთ ადამიანებს იმდროინდელ საქართველოში ნაციონალისტებს უწოდებდნენ, გრიგოლ რცხილაძე აღნიშნავდა: „თუ გნებავთ, ჩვენც ნაციონალისტები ვართ, მაგრამ ნაციონალიზმი სხვაგვარად გვესმის და არა ისე, როგორც სიყვარულის პრინციპი, ე. ი. კონსერვატორობა და შოვინიზმი“. სტატიის ბოლოს რცხილაძე დაპირებას იძლეოდა: „ჩვენს შეხედულებას ნაციონალიზმზე თანდათან გავაცნობთ მკითხველებს“.

გაზეთის მომდევნო ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „ეროვნება და სიყვარული“ გრიგოლ რცხილაძე კვლავ აკრიტიკებს ნაციონალიზმის სიყვარულზე დამყარების თეორიას კლასობრივი მიდგომის პოზიციიდან, რომ ერთი ერის პროლეტარებსა და კაპიტალისტ-მემამულეებს ერთმანეთი არ შეიძლება უყვარდეთ და, შესაბამისად, ბუნებრივი იქნება მათი სურვილი „ეროვნებასთან კავშირის“ უარყოფისა. შესაბამისად, გრიგოლ რცხილაძე მართებულად მიიჩნევდა „მესამე დასის სახელით ცნობილი აზროვნების მიმართულების“ პოზიციასაც, რომელიც ნაციონალიზმის როგორც თავისიანის სიყვარულის თეორიიდან გამომდინარე, აცხადებდა, რომ „ეროვნულ მიმართულებასთან არაფერი კავშირი არ მინდა ვიქონიოვო“.

გრიგოლ რცხილაძემ ვერ მოასწრო ნაციონალიზმზე თავისი თვალსაზრისის განვითარება, რადგანაც „ცნობის ფურცლის“ მომდევნო ნომერში გამოქვეყნდა ამავე გაზეთის ცნობილი პუბლიცისტის, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერის სამსონ ფირცხალავას (1872-1952) მოკლე და მკაცრი პასუხი.

სამსონ ფირცხალავა აღნიშნავდა, რომ ნაციონალიზმი ეროვნულის სიყვარულია და „სხვა არავითარი საფუძველი არა აქვს ნაციონალიზმს, ეროვნებას, თუ არა სიყვარული“.

სამსონ ფირცხალავამ უარყო გრიგოლ რცხილაძის ორივე დასკვნა ნაციონალიზმთან დაკავშირებით. თავისიანთა სიყვარული არ ნიშნავს სხვების სიძულვილს, ნაციონალიზმის „აუცილებელ თვისებას არ შეადგენს სიძულვილი სხვა ერისადმი“. მისი თქმით, მცდარია მოსაზრებაც, რომ „ეროვნული სიყვარული მხოლოდ უკან, წარსულისაკენ იცქირება“. ფირცხალავას თქმით, რეტროგრადული და კონსერვატიული არ ყოფილა ევროპის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. „ჩვენ გვიყვარს ჩვენი ერი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გვიყვარს ერთს წერტილზე გაჩერებული, გაყინული, მხოლოდ დღევანდელი ერი... თუ გვიყვარს ერი, სწორედ ეს სიყვარული გვაიძულებს, ვიზრუნოთ ერის ამაღლებისა, გაკეთილშობილებისა და უკეთეს მომავლისათვის“, - აღნიშნავდა სამსონ ფირცხალავა.

„ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ ამ სტატიებს, როგორც უკვე ითქვა, გამოეხმაურა ცნობილი „მესამე დასელი“ ფილიპე მახარაძე

(1868-1941). მისი თქმით, გრიგოლ რცხილაძე დიდ გაუგებრობაში იყო მოქცეული, რადგანაც ნაციონალიზმს კიდეც უარყოფდა და კიდეც თავს ნაციონალისტად მიიჩნევდა. თუმცა, მნიშვნელოვნად მიაჩნდა ის ფაქტი, რომ გრიგოლ რცხილაძემ „ცნობის ფურცელში“ პირველად დაგმო „ნაციონალიზმი, როგორც მავნე და ფუჭი მიმართულება“.

სამსონ ფირცხალავა კი მახარაძემ სასტიკად გააკრიტიკა მტკიცებისათვის, რომ „ეროვნებას ქმნის სიყვარული, სიმპატია და თანაგრძნობა“. ფილიპე მახარაძის თქმით, შეუძლებელია ერთი მხრივ ქართველ მუშებს და მეორე მხრივ ქართველ კაპიტალისტებსა და თავად-აზნაურობას შორის სიყვარულის და სიახლოვის გრძნობა არსებობდეს. ფილიპე მახარაძისთვის კლასობრივი სიძულვილისა და კლასობრივი ბრძოლის პრიმატი იმდენად უცილობელი იყო, რომ სასაცილოდ მიაჩნდა ერთი ეროვნების სხვადასხვა კლასის წარმომადგენლებს შორის რაიმე ეროვნული ერთიანობის გრძნობის არსებობაზე საუბარი.

გრიგოლ რცხილაძე. ნაციონალიზმი, როგორც პრინციპი სიყვარულისა

მომეტებული ნაწილი ნაციონალისტებისა ეროვნების საფუძვლად სიყვარულის გრძნობას აღიარებს. საერთო წარსული, ერთად განვლილი გზა ისტორიულის ცხოვრებისა, საერთო პირობები აწმყო არსებობისა და მრავალი სხვა საერთო ფაქტორი ადამიანის სულიერის აგებულებისა ბუნებრივად ჰქმნის საერთო შეგნებას, ურთიერთისადმი სიყვარულის გრძნობას და აი ეს სიყვარული შეადგენს, ნაციონალისტების აზრით, ეროვნების იდეას. ეროვნების საკითხი ამ გვარად გადაქვთ ისტორიიდან აწმყო ცხოვრებაში, ისტორიულად შემუშავებულ და განვითარებულ გრძნობას აღიარებენ მოქმედების პრინციპად და ამ პრინციპს ასაღებენ კაცთ-მოყვარეობის სახელით.

პირველის შეხედვით, ნაციონალისტების მოძღვრებაში ყველაფერი რიგზეა მოწყობილი, ყველაფერი დასაბუთებულია და ისტორიულად გამართლებული, მაგრამ ნამდვილად-კი აქ დიდი შეცდომაა: საბუთები, ე. ი. არგუმენტაცია შეეხება საზოგადოებრივ კულტურულ ცხოვრებას, დასკვნა კი პსიხიური და ინდივიდუალისტურია. ეს მეთოდო-

ლოგიური შეცდომაა. ყოველი მოძღვრება, როგორც პრაქტიკულ მიმართულების ლამპარი, უნდა იძლეოდეს ისეთს პრინციპს, რომელიც ანათებს მომავალს და გვიჩვენებს იდეალს; ნაციონალისტური მოძღვრება ამის მაგიერ აღნიშნავს მხოლოდ იმ გრძნობას, რომელიც ისტორიამ უკვე შეჰქმნა და სწორედ ამ გრძნობას აღიარებს პრინციპად. ეჭვს გარეშეა, რომ ყოველ ისტორიულს და სოციალურს ძალას აუცილებლად შესაფერი გრძნობა აქვს, მაგრამ თუ ეს გრძნობა თავის თავად აღიარეთ პრინციპად, თქვენ ამით ცხოვრების ახალს ნიადაგზე მოწყობის გზას ჭღობავთ და წარსულისაკენ იყურებით. ვინც ნაციონალიზმის იდეას სიყვარულის პრინციპში ჰხედავს, ის წინ ვერ წავა, იმას მხოლოდ აწმყოს შერჩენა ან წარსულის დაბრუნება შეუძლიან. ჩვენი სიტყვები რომ ფუჭ თეორიულ აზრად არავინ მიიღოს, მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დასავლეთ ევროპაში და თვით რუსეთში ნაციონალისტური მიმართულება მუდამ რეტროგრადიული და კონსერვატიული ყოფილა. საფრანგეთის გამოჩენილი მეცნიერი, პოზიტიურ ფილოსოფიის ავტორი ოგიუსტ კონტი ღრმად დარწმუნებული იყო და ამტკიცებდა, ერთად ერთი წმინდა ფრანგული ფორმა სახელმწიფო მმართველობისა აბსოლიუტური მონარქია არისო. არც საკვირველია, რომ ნაციონალიზმი, როგორც სიყვარულის პრინციპის მოძღვრება, რეალურად კონსერვატორობას აღნიშნავს. ნაციონალისტის სიყვარული დამყარებულია წარსულსა და აწმყოზე (რა თქმა უნდა, უფრო წარსულზე), წარსული და აწმყო აუცილებლად ადამიანთა ურთიერთობის განსაზღვრულს ფორმას შეიცავს, განსაკუთრებულ სახელმწიფო და სოციალურ ცხოვრების წესს; სიყვარული აუცილებლად კონკრეტულ საგანს თხოულობს და აწმყოსა და წარსულში ეს გრძნობა, უეჭველია, იმის მეტს ვერაფერს იპოვნის, რაც უკვე არსებობს ან წინად არსებობდა. აშკარაა, ნაციონალისტის პროგრამა რეალურად კონსერვატიული უნდა იყოს.

ისტორია და თანამედროვე ცხოვრების მიმდინარეობა ამტკიცებს, რომ ნაციონალისტების ქადაგება სწორედ მაშინ აიმაღლებს ხოლმე ხმას, როდესაც საზოგადოებრივ ცხოვრების ტალღა არსებულის წესის ცვლილებას ითხოვს, ახალ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივს ფორმებს ჰქმნის, სწორედ მაშინ მიჰმართავენ ხოლმე უკიდურესი კონსერვატორები მამულიშვილურს გრძნობას, სწორედ მაშინ მოუწ-

ოდებენ ხოლმე ხალხს სამშობლოს სიყვარულისკენ. რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ მამულიშვილობა და ნაციონალისტების სამშობლოსადმი სიყვარული, როგორც პრინციპი მოქმედებისა, უთუოდ წარსულს დაებღაუჭება და უარჰყოფს მომავალს.

ნაციონალიზმი, როგორც პრინციპი თავისიანის სიყვარულისა, აუცილებლად იგულისხმებს არა თავისიანის, ე. ი. სხვა ეროვნების სიძულვილს. რამდენიც უნდა იყვირონ ნაციონალისტებმა, არავინ არა გვძულსო, იმათ სიტყვას მაინც გასავალი არ ექნება. ვინც მოქმედების პრინციპად ერთ რომელისამე ეროვნების წარმომადგენელთა სიყვარულს ჰხდის, იმას უეჭველია არ უყვარს სხვა ეროვნების წარმომადგენელი, რადგან წინააღმდეგს შემთხვევაში, ის ნაციონალისტი კი არა, ინტერნაციონალისტი იქნებოდა. ამ გვარად მეორე დამახასიათებელი თვისება ნაციონალიზმისა არის შოვინიზმი, რომლის დამალვასაც ჩვეულებრივ დიდის გულმოდგინებით სცდილობენ, რადგან თითონ ნაციონალისტები აშკარად ჰხედავენ, რომ შოვინიზმი სამარცხვინო და უკუღმართი რამ თვისებაა.

ასეთია ის ნაციონალიზმი, რომელიც ეროვნების საძირკვლად და ეროვნულ მოღვაწეობის პრინციპად თავისიანების სიყვარულს აღიარებს. ჩვენ ამ სახის ნაციონალისტებთან არაფერი არა გვაქვს საერთო, პირიქით, ჩვენი მიზანია ქართველ ერში ეს მოძღვრება დარჩეს „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, მაგრამ ეს სრულიად იმას არა ნიშნავს, რომ ჩვენ ქართველ ერის ინტერესი არაფრად მიგვაჩნდეს და ეროვნულ მიმართულებას უარსა ვყოფდეთ. სრულიადაც არა; თუ გნებავთ, ჩვენც ნაციონალისტები ვართ, მაგრამ ნაციონალიზმი სხვაგვარად გვესმის და არა ისე, როგორც სიყვარულიდ პრინციპი, ე. ი. კონსერვატორობა და შოვინიზმი, ჩვენს შეხედულებას ნაციონალიზმზე თანდათან გავაცნობთ მკითხველებს.

გ. რ.

ცნობის ფურცელი 1905 25 მარტი N 2781

გრიგოლ რცხილაძე. ეროვნება და სიყვარული

ნაციონალიზმის დამყარება სიყვარულზე, როგორც წინა წერილში გავარკვიეთ, აუცილებლად მოასწავებს კონსერვატორობას და შოვინიზმს, მაგრამ ეს სრულიად იმას არ ჰნიშნავს, ვითომც ეს ორი სამარცხვინო თვისება განუყრელის კავშირით იყოს შეერთებული ნაციონალიზმთან, რომელსაც უიმათოდ ყოველივე აზრი და საფუძველი უნდა დაეკარგოს. ნაციონალიზმის თვით უკიდურესი მტერიც კი ვერ იტყვის, რომ ქვეყანაზე მარტო ერთი ეროვნება ე. ი. კაცობრიობა არსებობდეს და სხვადასხვა ერების ყოფნა შოვინისტების ფანტაზიის ფუჭს ნაყოფს შეადგენდეს. პირიქით, ყველა თვალ-ხილულ ადამიანისათვის ცხადზე უცხადესია, რომ მთელი კაცობრიობა სხვადასხვა ერებად არის დაყოფილი და დანაწილებული, თითოეული ერი მეორისაგან განსხვავდება და ამ საგნის შესახებ შესაძლოა მხოლოდ გაჩუმება და არა თვით ეროვნებათა არსებობის უარყოფა. გაჩუმებით მძიმე საკითხების გადაჭრა რამდენადაც ადვილია, იმდენადვე უნაყოფოა და მავნებელი, ამიტომ ეროვნული საკითხი მთლიანად უნდა იქმნას გამორკვეული და არა ისე, როგორც ზოგიერთი ჩვენებური მოღვაწე სცდილობს. თუ ეროვნების საფუძველს მართლა სიყვარული შეადგენს, უეჭველია ნაციონალიზმი დასაგმობად და უარსაყოფელ მიმართულებად უნდა ვაღიაროთ და მიზნად ეროვნულ სხვადასხვაობის მოსპობა დავისახოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ნაციონალიზმისათვის სხვა ნამდვილი ნიადაგი უნდა ვიპოვოთ. ვინც ნაციონალიზმს სიყვარულზე ამყარებს, ლოღიკურად იმას არავითარი უფლება არა აქვს პრინციპიალურად დაჰგმოს, მაგალითად, სისტემა გარუსების პოლიტიკისა, ქართულის ენის დევნისა და სხვა, რადგან ეს სისტემა ეროვნულ სხვადასხვაობის მოსასპობად არის შემოღებული, თუ იმავე დროს შოვინიზმს და კონსერვატორობას არ გამორიცხავს ეროვნულ მოძღვრებიდან. ამ გვარად ყოვლის უწინარეს გადაშინჯულ უნდა იქნას ეს მოძღვრება და უნდა გამოირკვეს, რამდენად მართალია ის აზრი, რომ ეროვნების საფუძველს თავისიანის სიყვარული შეადგენს.

ჩვენის ფიქრით, ძნელი წარმოსადგენია სხვა იმდენად ცხოვრებასა და სინამდვილესთან შეუთანხმებელი მოძღვრება, როგორიც სიყვარულის ნაციონალური თეორიაა. ამ თეორიით, ეროვნება ისეთი საზო-

გადოებრივი ერთეულია, რომლის წევრთა შორისაც კავშირი სიყვარულზე და საერთო შეგნებაზე არის დამყარებული. ამ გვარის განმარტების სისუსტეს ყველა ადვილად და უბრალოდ დაინახავს: ქართველს არაფერი არ უშლის ფრანგი უყვარდეს და ისეთივე შეგნება ჰქონდეს, როგორც ფრანგს, მაგრამ ქართველი და ფრანგი მაინც ერთს ეროვნებას არ შეადგენენ, ისინი მაინც სხვადასხვა ეროვნების წევრები იქნებიან. აი, ამ უკუღმართობის გასასწორებლად ნაციონალისტები თავის განმარტებას ჩვეულებრივ უმატებენ ხოლმე სიტყვას "ეროვნული" ან "ნაციონალური", მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, ამ დამატების წყალობით ეროვნების განმარტებას ყოველივე აზრი და მნიშვნელობა ეკარგება, რადგან "ეროვნების" ახსნა "ეროვნულის" საშუალებით ლოღიკური წყლის ნაყვაა, არც მეტი, არც ნაკლები. შხამი ისეთი ნივთიერებაა, რომელიც ადამიანს ჰშხამავსო, ამბობდა ერთი სქოლასტიკი, და ნაციონალისტებიც სწორედ ასევე იქცევიან, ეროვნება ეროვნულიაო... რა თქმა უნდა, ეროვნება ეროვნულია, მაგრამ ისიც მართალია, რომ ეს ახსნა კი არა, ერთისა და იმავე სიტყვის სხვა და სხვა თქმაა და არა ცნების განმარტება.

ერთისა და იმავე ეროვნების წარმომადგენელთ ხშირად დიდი საფუძველი აქვთ ერთმანეთი სიყვარულის მაგიერ შეიძულონ, ერთისა და იმავე შეგნების მაგიერ სხვა და სხვა შეგნება იქონიონ, მაგალითად მუშათა კლასს და ბურჟუებს უეჭველია ერთმანეთი არ უყვართ, საერთო შეგნება არა აქვთ, მაგრამ სასაცილო იქნება, რომ ინგლისელი ან მარტო ინგლისელს მუშას ვუწოდოთ, ან მარტო ინგლისელს ბურჟუას, როდესაც ორივე ინგლისელები არიან და ორივე თავის თავს ინგლისელად სთვლის.

ჩვენში მესამე დასის სახელით ცნობილი აზროვნების მიმართულება სრულიად მართალია, როდესაც ამტკიცებს, ეროვნულ მიმართულებასთან არაფერი კავშირი არ მინდა ვიქონიოვო, მართალია, რადგან, ჩვენი ნაციონალისტების თეორიით, ქართველ ეროვნებას მხოლოდ ის პროლეტარი ეკუთვნის, რომელსაც ისეთივე შეგნება აქვს, როგორც ქართველ კაპიტალისტს, რომელსაც გულში ქართველ კაპიტალისტის სიყვარული აქვს. სწორეთ ასეთივე უფლება აქვთ ქართველ კაპიტალისტებს და მემამულეებს განაცხადონ, ეროვნებასთან კავშირი არ გვინ-

დაო, რადგან არც იმათ შეუძლიანთ მუშის ინტერესებით, მუშურის შეგნებით და მათდამი სიყვარულის გრძნობით გაიმსჭვალონ. ამ გვარად, ნაციონალისტებმა თუ მტკიცედ მისდიეს თავის თეორიის საფუძველს, ეროვნება უეროდ უნდა დარჩეს, ეროვნულ საზოგადოებრივ ერთეულიდან ყველა ცოცხალი ადამიანი უნდა გამოირიყოს,

ერთის მხრივ საერთო შეგნება და სიყვარული შესაძლოა სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა შორის, მეორე მხრივ ერთისა და იმავე ეროვნების წარმომადგენლებს შესაძლოა ერთმანეთი არ უყვარდეთ და სხვა და სხვა შეგნება ჰქონდეთ. ამ გვარად ნაციონალისტების განმარტება ერთის მხრივ მეტად ფართოა, მეორე მხრივ მეტად ვიწრო, და როდესაც ამ უსწორმასწორობის გამოსაკეთებლად განმარტებაში შეაქვთ სიტყვა "ეროვნული", მაშინ თვით განმარტებას ყოველივე აზრი ეკარგება.

დასაბამი ასეთის არეულობისა ის უბრალო გარემოებაა, რომ ეროვნება განმასხვავებელ მომენტის აღმნიშნავი ცნებაა, სიყვარული და შეგნება კი საყოველთაო. რაც სხვადასხვაობის შინაარს შეადგენს, იმისი გაზოგადოება ყოველთვის უკუღმართობამდე მიგვიყვანს. სხვადასხვაობა თავის თავად კერძოობაა, ნაციონალისტებს კი აზრად ამ სხვადასხვაობის ზოგადად გადაქცევა აქვთ. ამ გვარად ის აზრი, ვითომც ეროვნების საფუძველს სიყვარული და საერთო შეგნება შეადგენდეს, შემცდარი შეხედულებაა და სიყვარულზე ნაციონალიზმის დამყარება ეწინააღმდეგება როგორც სინამდვილეს, აგრეთვე თეორიულ აზროვნების აუცილებელ პირობებს.

გ. რ.

ცნობის ფურცელი 1905 27 მარტი N2782

სამსონ ფირცხალავა. ნაციონალიზმი, როგორც სიყვარული

ნაციონალიზმი, როგორც სიყვარული! დიაღ და სხვა არავითარი საფუძველი არა აქვს ნაციონალიზმს, ეროვნებას, თუ არა სიყვარული. სიყვარული, სიმპატია, თანაგრძნობა თავისიანებისადმი, თავის ერისადმი, ამ ერის წევრებისადმი, - მხოლოდ ეს ჰქმნის ეროვნებას, ეროვნულ გრძნობებს, ეროვნულ პრინციპს, რომელიც მოითხოვს ერისათ-

ვის, როგორც თავისებურ, განსხვავებულ საზოგადოებისათვის, დამოუკიდებლობას და ავტონომიას. ჩვენ გვიყვარს ჩვენი სამშობლო და ჩვენი ერი, და ეს სიყვარული იმგვარადვე სტიქიურია და ბუნებრივი, როგორც სიყვარული დედისა შვილისადმი, სიყვარული მეგობრისადმი, თანამოაზრესადმი. ჩვენ გვიყვარს ჩვენი ერი, რატომ? იმიტომ, რომ ჩვენი ერის შვილები უფრო ახლონი არიან ჩვენთვის, უფრო გვენათესავებიან, უფრო გვგვანან, ვიდრე სხვა ერის ადამიანები; მათი სულის აგებულება უფრო გვენათესავება ჩვენ, ერთნაირი სისხლი სჩქეფს ყველაში, ერთნაირმა წარსულმა წარმოგვშობა და ერთმა ბუნებამ აგვზარდა ყველანი. გვიყვარს ჩვენი ერი, როგორც გვიყვარს ჩვენი თავი, გვიყვარს ჩვენი ერის შვილები, რადგან გვემსგავსებიან თავის აზრებით და გრძნობებით, რადგან მათში ვხედავთ ჩვენ თავს, ჩვენი პიროვნების გაფართოვებას.

ნაციონალიზმს, ეროვნულს სიყვარულს ჰქმნის მხოლოდ ისტორია და სადაც არ არის საერთო ისტორია, იქ არ არის ერიც. საერთო წარსული, საერთო სიხარული, ბედნიერება, მაგრამ განსაკუთრებით საერთო მწუხარება, გაჭირვება და უბედურება აერთებს ადამიანებს, ანათესავებს და აკავშირებს მათ. ერთად ვიტანჯებოდით, ვიჩაგრებოდით, ერთად ვიბრძოდით, ერთად მოვიპოვეთ ის, რაც დღესა გვაქვს და გვინდა, ერთად ვიბრძოლოთ, ვიშრომოთ და ვიცხოვროთ მომავალშიაც. საერთო წარსული, საერთო აწმყო და მომავალი, - აი აუცილებელი გზა ერის ცხოვრებისა.

ეროვნულო სიყვარული არის გაფართოვება სიყვარულისა საკუთარის თავისა და ოჯახისადმი და ძლიერი საზოგადოებრივი ძალაა და მის აუცილებელ თვისებას არ შეადგენს სიძულვილი სხვა ერისადმი. განა რომ მიყვარს ჩემი თავი, უნდა მძულდეს სხვა? დედას რომ უყვარს თავისი შვილი, უნდა სძულდეს სხვისი შვილი? შემცდარია ის აზრი, რომ ეროვნული სიყვარული მხოლოდ უკან, წარსულისაკენ იცქირება. არ იყო რეტროგრადიული და კონსერვატიული ბერძენთა, ბოლგარელთა, რუმინთა, პოლონელთა, ირლანდიელთა ეროვნული მოძრაობა! ჩვენ გვიყვარს ჩვენი ერი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გვიყვარს ერთს წერტილზე გაჩერებული, გაყინული, მხოლოდ დღევანდელი ერი. ერს არ შეადგენენ მხოლოდ ისინი, რომლებიც დღეს ცხოვრობენ,

ერის წევრები არიან მკვდრები და მომავალი შვილებიც. თუ გვიყვარს ერი, სწორედ ეს სიყვარული გვაიძულებს, ვიზრუნოთ ერის ამაღლებისა, გაკეთილშობილებისა და უკეთეს მომავლისათვის. ყოველი სიყვარულის გარყვნა შეიძლება, როგორც ეროვნული სიყვარულისა. ყველა დედას უყვარს შვილი, მაგრამ არის დედა, რომელიც ყოველგვარ სიგლახეს ასწავლის შვილს, არის დედა, რომელიც საუკეთესო აღმზრდელია შვილისა.

არა, ნაციონალიზმი მხოლოდ სიყვარულია, რომელსაც ჰქმნის საერთო ისტორია, და ეს სიყვარული თავისთავად დიდი კულტურული ძალაა. წარვუმძღვაროთ მას წინ განათლებული გონება და გული და მოვიახლოვებთ უფრო მაღალ სიყვარულს მთელი კაცობრიობისადმი.

კალამი

ცნობის ფურცელი 1905 29 მარტი N2783